ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 10

ქ. ლანჩხუთი **24.10.2023 წელი**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: გოჩა ჯანაშია, ალექსანდრე მახათაძე, კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი იმნაიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს" ნეთვორქისათვის" (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 5; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს" ნეთვორქისათვის" (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 17 ოქტომბერს ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს შესასრულებლად დაეწერა შპს. **,,ვი-ჯი-ეს** ნეთვორქ" ს/ნ 438724490 დირექტორის N10/302329022 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციების (საყრდენი ბოძი) სარგებლობის უფლებით გადაცემა 5 წლის ვადით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის. მისივე განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლისა და 36 მუხლის შესაბამისად ,,შპს. ვი-ჯი-ეს ნეთვორქ"-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძის ნაწილი-წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის. წლიურ სარგებლობის ფასის ოდენობად განისაზღვროს თითოეული ბოძის ნაწილ-წერტილისათვის 5 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად 5 წელი.

გარე განათების საყრდენი ბოძის ჩამონათვალი:

1. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა საკადასტრო კოდიN27.00.336, 70 ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძი.
2. მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი შუხუთი. საკადასტრო კოდი N27.00.356, 11 ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძი.
3. მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი ნიგოითი. საკადასტრო კოდი N27.00.358, 6 ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძი.
4. მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი ჭყონაგორა. საკადასტრო კოდი N27.00.355, 23 ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძი.
5. მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი ქვიანი. საკადასტრო კოდი N27.00.357, 55 ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძი.
6. მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი ჯაპანა. საკადასტრო კოდი N27.00.354, 66 ერთეული გარე განათების საყრდენი ბოძი.

ჯამში არის 231 ერთეული გარე განათების საყრდები ბოძი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №10

24.10.2023 წელი
12.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს“ ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ვი-ჯი-ეს“ ნეთვორქისათვის“ (ს/ნ 438724490) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.10. 2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 55	
2	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
5	ვლადიმერ ნანაძე	11 58	
6	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	11 55	